



29.06.2015

„მწვანე ალტერნატივა“: ეკონომიკურ პროექტებს ახლანდელი ხელისუფლებაც იგივე გზით გეგმავს

ახალი ამბები



თეი კანაშვილი

შეუერთდი განხილვას

„სამწუხაროდ, 13-14 ივნისის ტრაგედია პოლიტიკური ძიძგილაობის საგნად იქცა, თუმცა წინა (ნაციონალური მოძრაობის) და ახლანდელი (ქართული ოცნების) ხელისუფლებების მიდგომები, პრაქტიკულად, არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ეს განსაკუთრებით თვალნათელია მაშინ, როდესაც საქმე ეხება გარემოსდაცვითი, სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის ასპექტების განხილვას, მეტად საეჭვო ეკონომიკური სარგებლის მქონე პროექტების დაგეგმვა-განხორციელებისას“, - „მწვანე ალტერნატივა“ 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში სტიქიური მოვლენებით გამოწვეული კატასტროფის მიზეზების **წინასწარ ანალიზს** აქვეყნებს.

მათი თქმით, მიზეზების დადგენის პროცესი უნდა შედგებოდეს კატასტროფის არა მარტო

ატმოსფერული, გეოლოგიური თუ ჰიდროლოგიური წინაპირობების შეფასებისგან, არამედ უნდა დადგინდეს, ასევე, სტრუქტურული (ნაგებობები, დაცვითი ღონისძიებები) და არასტრუქტურული (კანონმდებლობა, ინსტიტუციების მუშაობა) ღონისძიებების ადეკვატურობაც. პრობლემურ და მწვავე კითხვებზე პასუხის გაცემა აუცილებელია იმისათვის, რომ დადგინდეს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების საჭიროება; ასევე, გამოვლინდეს ის თანამდებობის პირები თუ სახელმწიფო მოხელეები, რომლებმაც არასწორი ან მიკერძოებული (შესაძლოა, კორუფციული) გადაწყვეტილებები მიიღეს, ან არ იმოქმედეს და უმოქმედობით გამოიწვიეს ეს შედეგები.

„ვერის ხეობაში დატრიალებული ტრაგედიის პირველ დღეებში ძირითადი აქცენტი გადადიოდა იმაზე, რამდენად სწორად განხორციელდა ვარაზის ხევი-თამარაშვილის მაგისტრალის პროექტი წინა ხელისუფლების მიერ და როგორ განახორციელდა მას ახლანდელი ხელისუფლება, თუმცა მეტ-ნაკლებად სიღრმისეულ ანალიზს ერიდებიან/ანალიზი არ კეთდებოდა. სულ რაღაც ერთ კვირაში კი ნათელი გახდა, რომ ახლანდელი ხელისუფლებაც იგივე გზით განაგრძობს ქმედებას: მიუხედავად პოლიტიკური თანამდებობის პირების განცხადებებისა, რომ მომავალში ყველა პროექტის განხორციელებების შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შემდეგ იქნებოდა მიღებული, არსებული მაგისტრალის შესახებ გადაწყვეტილება ისევ პოლიტიკური თანამდებობების პირების კაბინეტებში იქნა უკვე მიღებული და ე.წ. „კომისიის“ თვალსაზრისად წარმოჩენილი. ნათელია, რომ ვერ იქნა გამოტანილი სათანადო გაკვეთილები გასულ წლებში მომხდარი კატასტროფული მოვლენებიდან (მაგალითად, 2012 წელს ორთაჭალაში მიღში მოქვეული მდინარის ადიდება ან 2014 წელს მეწყერი დარიალის ხეობაში, ორივე ამ მოვლენას ეკონომიკურ ზარალთან ერთად ადამიანების დაღუპვას მოჰყვა). სამწუხაროდ, საქმეს ახლაც იგივე პირი უჩანს: როგორც დარიალის ხეობაში მომხდარი მოვლენების დროს, სამთავრობო სტრუქტურები ძირითად ყურადღებას უთმობენ სტიქიის წარმოშობის ბუნებრივი პროცესების დადგენას, ხოლო ის საკითხი, თუ რა გავლენა იქონია სტიქიის შედეგებზე არასწორად დაგეგმილმა და განხორციელებულმა პროექტებმა, ისევ გამოუკვლეველი დარჩება“, - ნათქვამია „მწვანე ალტერნატივას“ წინასწარ ანალიზში.

